

თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს "აჭარსპეცპროექტს"

შორის

ქ.ბათუმი

31 იანვარი 2019 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის, ასოცირებული პროფესორის, მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ შპს - აჭარსპეცპროექტი (ს/კ 245427364) წარმოდგენილი დირექტორის ჯემალ გოგიტიძის მიერ (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

1. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 1.1 პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, შპს - აჭარსპეცპროექტი, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში, უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო და პროფესიული პრაქტიკის გავლას;
- 1.2 მხარეები, დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.) და ექსპერტიზაში;
- 1.3 დაგეგმვენ და განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებს;
- 1.4 მხარეები უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

2. მემორანდუმის განხორციელების პირობები

- 2.1 მხარეებს შორის თანამშრომლობა განხორციელდება პარიტეტული პრინციპით;
- 2.2 მემორანდუმი ძალაში შევა ხელმოწერისთანავე.

მხარეთა ხელმოწერები

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ნინოშვილი/რუსთაველის ქ. #35/32

ბათუმი

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

შპს „აჭარსპეცპროექტი“

ზვიად გამსახურდიას ქ. N19

ბათუმი

შპს აჭარსპეცპროექტის დირექტორი



მერაბ ხალვაში



ჯემალ გოგიტიძე